ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, ქალბატონ ნათია თურნავას

„რადიო თავისუფლება“ ამზადებს სტატიას რამდენიმე კომპანიასთან დაკავშირებით, რომელთა ნაწილიც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგულირებული სუბიექტია. კერძოდ:

1. **შპს „ქიფზ საგადახდო სისტემა“ / Keepz Payment System** (ს/ნ: 405618915)
    - საგადახდო მომსახურების პროვაიდერი (PSP) · №0099-7704 · 21.03.2024;
    - ღია ბანკინგი (AISP / PISP) · 12.07.2024 (XLSX რეესტრში: 07.12.2024);
    - საგადახდო სისტემის ოპერატორი · №0003-9204 · 22.12.2025.
2. **შპს „ჰაივ ფეი“ / Hive Pay** (ს/ნ: 405545227 - ყოფილი BKN301 Georgia / „კალა ფეი“)
    - საგადახდო მომსახურების პროვაიდერი (PSP) · №0096-2904 · 04.01.2023;
    - ღია ბანკინგი (AISP / PISP) · 06.08.2026 (XLSX რეესტრში: 08.06.2026).

საჯარო რეესტრის მონაცემებით, ამ კომპანიებთან სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ფორმით კავშირი ჰქონდა (ფლობდა წილებს) ვახტანგ (ვაკო) თურნავას, რომელიც ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, ნათია (ნათელა) თურნავას ახლო ნათესავია.
ორივე კომპანიამ ეროვნული ბანკისგან აღნიშნული სტატუსები (საგადახდო პროვაიდერის, ღია ბანკინგისა და საგადახდო სისტემის ოპერატორის) მიიღო იმ პერიოდში, როდესაც ნათია თურნავა უკვე მუშაობდა ეროვნულ ბანკში სხვადასხვა თანამდებობაზე (2022 წლის ივნისიდან - საბჭოს წევრად, 2023 წლის ივნისიდან - პირველ ვიცე-პრეზიდენტად და პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად, ხოლო მოგვიანებით - პრეზიდენტად).
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, გვიპასუხოთ შემდეგ შეკითხვებზე:

1. ხომ არ დაეხმარა ნათია თურნავა ვახტანგ თურნავასთან დაკავშირებულ კომპანიებს („ქიფზ საგადახდო სისტემას“ და „ჰაივ ფეის“) ეროვნული ბანკისგან აღნიშნული სტატუსებისა და ავტორიზაციების მოპოვებაში?
2. მონაწილეობდა თუ არა ნათია თურნავა ამ კომპანიებისთვის საგადახდო პროვაიდერის, ღია ბანკინგისა და საგადახდო სისტემის ოპერატორის სტატუსების მინიჭების ან მათი საზედამხედველო საკითხების განხილვა-გადაწყვეტაში? ჰქონდა თუ არა მას გაცხადებული ინტერესთა კონფლიქტი და ჩამოიცილა თუ არა თავი ამ გადაწყვეტილებების მიღების პროცესიდან?
3. რა სამართლებრივი და პროცედურული მექანიზმები მოქმედებს ეროვნულ ბანკში იმისთვის, რომ გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი და მიკერძოება ისეთი სუბიექტების რეგისტრაციისა და ზედამხედველობისას, რომელთა ბენეფიციარ მესაკუთრეებთან ან წილის მფლობელებთან სებ-ის ხელმძღვანელ პირს ნათესაური კავშირი აქვს?
4. საგადახდო სისტემის ოპერატორისა და პროვაიდერის რეგისტრაციის ეტაპზე, ვინ იყვნენ სებ-ში დეკლარირებული აღნიშნული ორი კომპანიის მნიშვნელოვანი წილის მფლობელებად და საბოლოო ბენეფიციარ მესაკუთრეებად?

პატივისცემით,

გიორგი მგელაძე

„რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი

ეროვნული ბანკის პასუხი

მოგესალმებით,

პირველ რიგში, განვმარტავთ, რომ თქვენ მიერ დასმული კითხვები არ ეფუძნება რეალურ გარემოებებს, მოკლებულია ობიექტურ დასაბუთებას და არ გააჩნია ფაქტობრივი საფუძველი.

თქვენი 2026 წლის 19 ნოემბრის წერილში დასმულ კითხვებთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ წერილში ნახსენებ ორივე კომპანიასთან - შპს „ქიფზ საგადახდო სისტემასა“ (ს/ნ 405618915) და შპს „ჰაივ ფეისთან“ (ს/ნ 405545227) დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოებები საქართველოს ეროვნულ ბანკში განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

ხსენებული კომპანიების მიმართ არც საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს და არც შესაბამის საქმის წარმოებაში მონაწილე სხვა უფლებამოსილ პირებს არ გააჩნიათ ინტერესთა კონფლიქტი.

ინტერესთა შეუთავსებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს საქართველოს კანონი „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, საქართველოს ეროვნული ბანკის შინაგანაწესი და სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტები. აღნიშნულ სამართლებრივ აქტებში დეტალურად არის გაწერილი ინტერესთა კონფლიქტისა და მიკერძოების გამომრიცხავი მექანიზმები, რასაც განუხრელად იცავს საქართველოს ეროვნული ბანკი და მისი პრეზიდენტი.

დამატებით გაცნობებთ, რომ ვახტანგ თურნავასა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს - ნათელა თურნავას შორის არსებობს შორეული ნათესაური კავშირი, რაც კანონმდებლობის შესაბამისად, არ განეკუთვნება ახლო ნათესაურ წრეს, როგორც ეს თქვენს წერილშია მოხსენიებული.

ამასთან, გაცნობებთ, რომ 2024 წლიდან ვახტანგ თურნავა თქვენს წერილში მითითებულ არც ერთ კომპანიაში წილს არ ფლობს.

პატივისცემით